პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 11 ოქტომბერი 1978 წ. № 239 (17283) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ოთუელი-78

512.000 ტონა ყურძნისათვის!

ტემპი, მეთვალყურეობა — მაქსიმალური

„სამტრესტის" ცნობებით, ეს ოქტომბრისათვის (ტონობით):

რაიონები	1978 წლის გეგმა	9 ოქტომბრამდე მოსავალი	სულ მოსავალი
გურჯაანის	88000	1572	110000
თელავის	61200	3550	62026
ყვარლის	38000	2134	41029
სიღნაღის	34000	1085	38448
ახმეტის	30400	1968	27456
წითელწყაროს	25100	519	25017
საგარეჯოს	24100	1093	15722
მარნეულის	19000	660	17831
გოლნისის	11480	542	12574
გარდაბნის	10500	185	4569
ლაგოდეხის	8500	575	7737
მცხეთის	9050	425	1714
ხაშურის	5500	342	2043

რთველი დაიწყო დუშეთის, კასპის, თეთრი წყაროს, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, სამტრედიის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ვანის, ჩიხატაურის, მახარაძის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ამბროლაურის რაიონებში, წყალტუბოსა და ტყიბულის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, აჰარის უსს რესპუბლიკაში.

- 9 ოქტომბერს მოიკრიფა 15.225 ტონა ყურძენი.
- სულ რესპუბლიკის მკრეფებმა მიიღო 369.894 ტონა ყურძენი
- ეს გასული წლის ამ დღის მაჩვენებელს 79.860 ტონით აღემატება.

საკარმიდამო ნაკვეთებიდან

საგარეჯოს რაიონი

საგარეჯოელმა ხოსო გრატიაშვილმა სახელმწიფოს 3.860 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა, მისმა მეზობლებმა **რომბოზო როსტომაშვილმა** — 1.810 კილოგრამი, **გიორგი მელაშვილმა** — 1.580 კილოგრამი, **გიორგიწმინდელებმა ფერდიკო თუთაშვილმა** — 1.580 კილოგრამი, **კარლო კეკელიშვილმა** — 1.770 კილოგრამი, **რეზო ხოსიტაშვილმა** — 1.340 კილოგრამი.

თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რთველში ყურძნის ბევრმა მკრეფავმა და მძღოლმა გაითქვა სახელი. მათ შორის არიან მოწინავე მკრეფავები ზ. მესხიშვილი, ლ. მეგრელიშვილი, მ. მეგრელიშვილი და მძღოლი ნ. მეგრელიშვილი, ისინი დღიურ დავალებას სამმაგად ასრულებენ.

სურათებზე: ზემოთ — ყურძნის მოწინავე მკრეფავები ზ. მესხიშვილი, ლ. მეგრელიშვილი და მ. მეგრელიშვილი; ქვემოთ — მძღოლი ნ. მეგრელიშვილი.

ს. ბილაძის ფოტო.

ალზრდას — კომპლექსური მიდგომა

საბჭოთა საზოგადოების დინამიზმი, კომუნისტური მშენებლობის ზარდი მასშტაბი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ განუწყვეტლივ ამაღლდეს ეკონომიკისა და კულტურისადმი, ადამიანთა აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, გაუმჯობესდეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში.

„ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ყველა სფეროსათვის, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების შეგნების, კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონე. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ჩვენებურად ადამიანს მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისადმი სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილი შემოქმედებითი დამოკიდებულება. აქ გადის კომუნისტმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც".

ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები შეიარაღებული არიან მოქმედების ნეტაფერი, კონკრეტული. ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალული პროგრამით, რომელიც განსაზღვრის XXV ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის ანგარიშმა დადგენილებებმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს ხახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, „XXV ყრილის საქალაქო კომიტეტის მიერ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტის განხილვიელების შესახებ" XXV ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ახლებურად უდგებიან აღზრდას. უზრუნველყოფენ იდეურ-პოლიტიკური. შრომითი და ზნეობრივი აღზრდის კომპლექსური გეგმები. ეს შეესაბამება ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „უნდა ვისწავლოთ მასებისადმი მიდგომა ანმაგალითრებული მოთმინებითა და ხიფრთხილით, რათა ეანარი შეგვწევდეს გავიგოთ ამ მახის ოითოეული ფენის, პროფესიისა და სხვ. განსაკუთრებულობანი და ფსიქოლოგიის თავისებური ნიშნები".

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარი ადგილი უკავია მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, პარტიის ხაშინაო და საგარეო პოლიტიკის, XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, მეცნიერული კომუნიზმის ამ აქტუალური პრობლემების ღრმა განმარტებას, რომლებიც დამუშავებულია ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები", „მცირე მიწა" და „აღორძინება".

პარტიის თბილისის, ქუთაისის. რუსთავის, ახაშის, მახარაძის, გურჯაანის, ჩიხატაურის. გარდაბნის, გორის, თერჯოლის. ჩხოროწყუს. გალის, ხელვაჩაურის და მოელმა რიგმა სხვა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შეიმუშავეს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის კომპლექსური გეგმები. უზრუნველყვეს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, ახალი ადამიანის აღზრდაში იდეოლოგიური დაწესებულებების. პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების ღონისძიებათა კოორდინაცია. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი დიდ ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. ამ აქტუალურ საკითხს სპეციალური პლენუმი მიეძღვნა. ყოველივე ამან დადებითი შედეგები გამოიღო, დიდი გადაკარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ცხრა თვის გეგმები.

წარსულის ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლამ, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ხელი შეუწყო მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

რუსთაველთა ინიციატივას, რომლებიც ხათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას დღევანდელ „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!", მხურვალედ დაუჭირა მხარი რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა. ეს მოძრაობა დღეისადაგ ფართოვდება და ვითარდება. სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობა მატერიალურ გამოხატულებას პოულობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

გაწეული მუშაობის მიუხედავად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებები და გადაუწყვეტელი პრობლემები.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ კონტროლის მოდუნების შედეგად პარტიული განათლების ქსელში, ლექციურ პროპაგანდაში, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში გვხვდება ფორმალიზმის, უპასუხისმგებლობის ელემენტები, იდეოლოგიური მუშაობისადმი უხულგული დამოკიდებულებისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტის ფაქტები. შრომითს კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ბევრგან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ხუსტად მონაწილეობენ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, იშვიათად ხვდებიან კომუნისტებს. მშრომელთა ფართო მასებს. ეს ითქმის წულუკიძის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალკის, ვანის, ამბროლაურის, ორჯონიკიძისა და სხვა საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

თანამედროვე პირობებში მთავარია პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ხრულყონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხტილი და მეთოდები, პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის პრაქტიკა. დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლის სისტემა; მოაწყონ კადრების. აქტივის სისტემატური სწავლება. დააუფლონ ისინი იდეოლოგიური მუშაობისადმი კომპლექსური მიდგომის მეთოდებს, შეაიარაღონ პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო გამოცდილებითა და მეცნიერული საფუძვლების ცოდნით. განამტკიცონ კავშირი მასებთან. ოპერატიულად გამოეხმაურონ მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს. პროპაგანდა გაუწიონ ყოველივე ახალს. პროგრესულს.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ყველა რგოლში ვეძებდეთ და ეპოულობდეთ მუშაობის ახალ, კონკრეტულ ფორმებს.

კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შენადნობი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პოლიტიკური სწავლება, ლექციური პროპაგანდა, ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია, იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ფორმა ყველგან გახდეს ამ ძვირფასი შენადნობის ორგანული ნაწილი, ეხმარებოდეს ადამიანებს იცხოვრონ და იშრომონ უნარის შესაბამისად, იყვნენ ახალი სამყაროს მშენებლები პირველ რიგებში.

ზემოდგომა გვაჩქარებს

უნდა ვიზრუნოთ მომავალი წლის მოსავლისათვისაც, განვახორციელოთ საშემოდგომო სამუშაოთა კომპლექსი გაღლებში, მინდვრებში, მოვემზადოთ ციტრუსების მოსავლის აღებისათვის. რთველთან ერთად სოფლის მშრომელებმა არ უნდა შეანელონ ხილის, ბოსტნეულის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების ტემპი, წარმატებით გადაწყვიტონ მტკიცე საკვები ბაზით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფის საკითხები.

ხუთწლედი ვადამდე

არის სამი წლის დავალება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფართოდ გაიჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ახალი კონსტიტუციის წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ქუთაისის მრეწველობის მუშაკები წარმატებებს წარმატებებზე აღწევენ. ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაკარბებით შესრულებისათვის ქალაქის ათმა საწარმომ, მათ შორის „ქუთაისარტის" მაღაროთა სამმართველომ, სახლმშენებელმა კომბინატმა, პეტროდუქტების საწარმოო კომბინატმა და სხვათა კოლექტივებმა 7 სექტემბრისათვის უპატაჟეს სამშობლოს ხუთწლედის სამი წლის დავალების შესრულება. საბჭოთა კონსტიტუციის დღისათვის სამი წლის გეგმის შესრულების ვალდებულება წარმატებით გაანადგეს აგრეთვე 51 საამქროს, 22 უბნისა და 77 ცვლის კოლექტივებმა, 213 ბრიგადამ, 5 ათასზე მეტმა მუშამ

ქუთაისის მრეწველობის მუშაკებმა მ. წ. 9 თვეში გეგმის გადამეტებით 10 მილიონი მანეთის პროდუქცია აწარმოვეს.

ხუთწლედის დამკვრელური ვახტი გრძელდება.

ზეგეგმითი ბუმბრინი

ფყალტუბო. (საკ. კორ.). საბჭოთა კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ხაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში ახალ შრომით წარმატებებს მიაღწია „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა (დირექტორი ლ. გურგენიძე, პარტბიუროს მდივანი რ. (ცხაკაია), რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება 112,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა 115,9 პროცენტით შეასრულა. კოლექტივის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს დამუშავების უბანმა, უფროსი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი მ. ხოკავა, რომელმაც გადამეტებით განაღდა ხუთწლედის პირველი წლის დავალება და გეგმის გადამეტებით 7800 ტონა გუმბრინი ამოიღო.

დაფქვილი გუმბრინის წარმოების სამი წლის დავალება ასევე გადამეტებით გაანაღდა გუმბრინის საფქვავი ქარხნის კოლექტივი. ბრიგადა ბ. ჩიხლაძე უდგას სათავეში. კოლექტივში სამი წლის პირადი გამომუშავების ნორმები უკვე შესრულებული აქვს 39 მოწინავე მუშას. მათ შორის არიან სოფქვავი ქარხნის ზეინკლები შ. ჯიმშელეიშვილი, კ. ზარქუა, გ. სინაურიძე, ი. გურეევი, მეპარატეები ვ. ქაშბაძე, ნ. პეტრიაშვილი, ექსკავატორის მემანქანეები დ. ჯიმშელეიშვილი, ს. დემჩენკო, მბურღავი ნ. იობიძე, გვიროაბგამყვანები რ. მიქაძე, ვ. გუგრეშიძე და სხვები. გუმბრინეულთა კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა ოქტომბრის სადღესასწაულოდ სამშობლოს უპატაკოს 3 წლის დავალების შესრულება.

დ. გედენიძე.

მოვნეგლეგმა იმარჯვეს

ცხაკაია. (საკ. კორ.). რვა რაიონის სამშენებლო საქმეებში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას № 5 „სპეციალ ნაშენის" ორდენოსანი ტრესტის (მმართველი — გ. გაბისონია, პარტბიუროს მდივანი — გ. ფანნიური) კოლექტივს. მიმდინარე წლის 9 თვეში მშენებლებმა შეასრულეს 12.006.000 მანეთის სამუშაო, რაც 66.700 მანეთით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. წლის საქმიანობა ეიოდ გადაცემული 34 ობიექტი, მათ შორის წალენჯიხის, ჩხოროწყუს და დიდი ჭყონის ნაის ფაბრიკების დამატებითი კორპუსები, სკოლები 1.558 მოსწავლეზე, 1200 ტონის ტეგეადობის მინერალური სასუქების საწყობი, ფერმების სხვადასხვა საოჯახოები, ძველი სენაჟის მეღორეობის კომპლექსი.

ბ. მილიუტინი.

თელაველთა სიტყვა და საქმე

● მოკრეფილია 62.026 ტონა ● თელაველთა ახალი ვალდებულებაა — 70.000 ტონა ყურძენი მიჰყიდონ სახელმწიფოს

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. კობაიძე გვატყობინებს:

ბუნების სტიქიაზე გამარჯვების ზეიმია თელავის რაიონის ზეკრებები. მეევიალეთა მთელი წლის თავდადებული შრომის, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების საჯაროობის შედეგად იბადებიან ზეკრების ახალ-ახალი გმირები.

9 ოქტომბერს რაიონის მშრომელებმა დადასტურეს ყურძნის ჩაბარების გეგმა-ვალდებულების შესრულება უპატაჟეს. სახელმწიფო მარნებში მიიტანეს 62.026 ტონა ყურძენი, მაგრამ რაიონის მეევენახეთა მიზანი უფრო დიდია და ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა 70 ათასი ტონა ყურძნისათვის.

არც დღემდე აკლდათ საინიციო მეკენახეების სახელი და დიდება, ისინი ყოველწლიურად დიდი გადაკარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, მაგრამ ახალმა, წლევანდელი წლის მოსავალმა უფრო მეტი ფასი დასდო მათ შრომას. სახალორის კოლმეურნეობა „მეგობრობის" მშრომელებმა სახელმწიფო მარნებში უკვე მიიტანეს 6.820 ტონა ყურძენი, მათი გეგმა კი 5 000 ტონას ითვალისწინებდა. მაგრამ მათ დიდ სამეს ზღვარი აქ არ დაუდგეს და 7.500 ტონა ყურძნისათვის დაიწყეს ბრძოლა.

შრომის ფრონტზე სასახელო წარმატებებს აღწევენ ა. გიპარაშვილის, ს. ლომაშვილის, ს. გოგინაშვილის და სხვათა ბრიგადები, რომლებიც ჰექტარზე 140-150 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. არ შეიძლება კაცმა არ დაუმადლოს კარგი შრომისათვის სოციალისტური შრომის გმირს გ. შავაძეს, ლენინის ორდენოსან ნ. გობაძეს, შრომის წითელი დროშის ორდენოსან მ. ჯანაშიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნ. გოგინაშვილს. კოლმეურნეებს ასმათ და ცუცა ქორიშვილებს და სხვ.

ბევრი სანაქებო სიტყვის თქმა შეიძლება რუსპირის კოლმეურნეობაზე, რომელსაც ა. გეორგიევის კოლმეურნეობამ ტოლს არ უდებს კონდოლის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — თ. ახალმამულიშვილი), რომელმაც 392 ჰექტარ სრულ მოსავლიან ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 2.700 ტონის ნაცვლად უკვე მიიღო 3.400 ტონა და დამატებით კიდევ 400 ტონას მოკრეფს.

გამოჩაჟუთრებით უხე მოსავალს იღებენ ტ. კაციაშვილის, ა. უთალიშვილის, ნ. აჩიკაშვილის, გ. მონდორაშვილის, პარტიის თელავის რაიკომის ბიუროს წევრის ვლ. გერგიშვილის ბრიგადები.

კარგი შედეგებით დაამთავრა რთველი თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ (დირექტორი — ი. მესტვირიშვილი), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 1.670 ტონის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 2.464 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

რთველი გრძელდება. მოსაკრეფი ზვრები და შრომის გაძლიერებული ტემპი ეს ის უტყუარ გარანტიას იძლევა, რომ რაიონის მშრომელები დასახულ მიზანს მიაღწევენ. იქნება 70 ათასი ტონა ყურძენი!

მოძმე სომხეთში

● საუკუნოდ ერთად
● ძმობის ფრთები

ერევანი. (საკ. კორ.). 9 ოქტომბერს რესპუბლიკის დედაქალაქში საძირკველი ჩაეყარა რუსეთ-სომხეთის მეგობრობის მემორიალურ კომპლექსს. გადაწყვეტილია მემორიალი ამეგდეს ბორცვზე, საიდანაც შეეტყვის რუსმა განმათავისუფლებელ მა მეომრებმა და სომეხ მოხალისეთა რაზმებმა ერევნის ციხეს. ძველს სძირკვლის ჩაყრის ცერემონიალში მონაწილეობდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარქისოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი.

რუსეთ-სომხეთის მეგობრობის დიდებული მემორიალი გაიხსნა ამ დღეებში ახალგაზრდა საბრეწველო ქალაქ ალბოიანში, რომელიც სწრაფად ვითარდება. მთის ზანგეზურის ცენტრში — კაჟაწში ძველი დაუდგეს სომეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირს დავით-ბეგს, რომელიც მგზნებარედ გამოდიოდა რუსეთთან კავშირისათვის.

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრი, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რუსეთის ფედერაციის სხვა შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებიც მეგობრობის დღესასწაულში მონაწილეობდნენ, სრულიად რუსეთის საგუნდო და თეატრალური საზოგადოებანი, რუსეთის საკონცერტო გაერთიანება, კომპოზიტორთა, მხატვართა, მწერალთა, კინემატოგრაფისტთა კავშირები.

ამ ნათელ დღესასწაულს დასკვნითი აკორდი გახდა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის კულტურის წარმყვანი მოღვაწენი და საშემსრულებლო კოლექტივები.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ხაზეიმო დახურვას დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ს. დემირჩიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი.

უმაღლესი სასწავლებლების ამოცანები

10 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა სრულიად რუსეთის თათბირი. თათბირზე განიხილავენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასწავლებლების ამოცანებს „უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ს. პ. ტრაპეზნიკოვი, ვ. თ. მაურო, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პაატუხოვი, თვალსაჩინო მეცნიერები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა მ. ს. სოლომენცევმა. მან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დავალებით თათბირის მონაწილეებს, რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკს სურვილი შემდგომი წარმატებები თავიანთ კეთილშობილურ შრომაში.

მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ა. ა. ალბრიზოვმა. (საკლესი),

საბჭოეთის ახალი ამბავი

ყიზილი. ენისეის ზემო დინებაში ნავიგაცია დამთავრდა — ყაზლმი მთიანი ტოკიდან დაბრუნდა უკანასკნელი საბუქსირო თბომავალი, რომელმაც კარუპანების ქარავანი ჩამოიყვანა. ჭორომიანი მდინარის რთულ პირობებში მუშაობდნენ ტუფელი სამდინარო ფლოტის მუშაკები, რომლებმაც შეძლეს წარმატებით შეესრულებინათ სანავიგაციო გეგმა და ტვირთბიდვის ხუთწლედის სამი წლის დავალება.

ლიდა. (ეროდნოს ოლქი). ოდგილობრივ ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაამზადეს ახალი მოდელის წაღების ბირველი სამრეწველო პარტია. ეს არის ასორმოცდაეთე ნაწარმი, რომელიც საწარმომ წლის დამდეგიდან ითვისა. პროდუქციის ასორტიმენტის მუდმივ გაფართოებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ფაბრიკაში დანერგილი ახალი მოწყობილობა.

საუკეთესო — ლენინური პრინციპები

გამოვიდა დოკუმენტების კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები", მასში შეტანილია მთლიანად და ამონაკრებების სახით, სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებები, ამ ყრილობებზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებულ მოხსენებათა შესაბამისი განყოფილებები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს დადგენილებანი ორ განზიაციულ-პარტიულ-საკითხებზე.

კრებულის მასალები ასახავს პარტიის ხაზს, რომლის მიზანია კიდევ უფრო განამტკიცოს პარტიის რიგები, სრულყოს საზოგადოების პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები, უზრუნველყოს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განუხრელი დაცვა.

კრებული გამოსაცემად მომზადდა ი. ვ. კაპიტონოვის ხაერთო რედაქციით.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკლესი).

ჩვენს დიდ სამშობლოზე

უცნაური პოზიცია

მეტი ყურადღება კომუნისტთა შენიშვნებსა და წინადადებებს!

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი, საქმიანი სჯა-ბაასია. მისასალმებელია, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების ძირითადი ყურადღება მიმართულია მწვავე პრობლემების გადაჭრისადმი, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაძლევისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სულ უფრო დაბეჯითებით ახორციელებს ლონისძიებებს, რომ კომუნისტების, ყველა მშრომელის სამართლიან შენიშვნასა და წინადადებას მეტი გულისხმიერებით, მეტი ყურადღებით მოეკიდონ როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელები. პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა სამინისტროების, უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობა ძირეული პარტიული ორგანიზაციების კრებების მუშაობაში, სხვა ლონისძიებებში. კომუნისტთა კრიტიკული გამონათქვამებისადმი მუდმივი კონტროლის დაწესება, დროული და გულისხმიერი დამოკიდებულება ჩვენი კადრების საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ხანს კომუნისტები უფრო მეტად აქტიურობენ, ხალისით გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს ცხოვრების მომწიფებულ საკითხებზე. რწმენა, იმედი იმისა, რომ შენს აზრს ყურადღებით უსმენენ და ანგარიშს უწევენ, რომ შენ მიერ მხილებული ნაკლი აუცილებლად გამოსწორდება, დიდი ძალაა, დიდი სტიმულია გულახდილი, პრინციპული, ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკისათვის.

ასეთივე იმედებით ელოდნენ თავიანთი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას თბილისის ხორცის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კომუნისტებიც. განსაკუთრებული და სალაპარაკო კი მათ ცოტა როდი აქვთ. მართალია, ბაგგმო დავალებების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის გაერთიანების კოლექტივმა წლეულს პირველი და მეორე კვარტალების მიხედვით სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი დროშებიც კი მიიღო, გადაჭარბებით შეასრულა 9 თვის გეგმა და უკანასკნელ ხანს ხასიათეთო გარდატეხასაც მიაღწია, მაგრამ, როგორც ამ დღეებში აქ გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მსვლელობამაც დაადასტურა, განაკეთებელი და საზრუნავი ძალიან ბევრი აქვთ. აქ ჯერ კიდევ დაბალია საწარმოო და შრომის დისციპლინა, ფორმალიზმია ხოციალისტ უ რ შეჯიბრებაში.

კრების მონაწილეებმა გულისხწყრომით თქვეს, რომ მათ განსაკუთრებით აფიქრებთ გაერთიანებაში კადრებთან მუშაობა. რა დასამალავია, ზოგი მუშა არ ამსახურებს ნდობას იმუშაოს ასეთ მნიშვნელოვან წარმოებაში, ხოლო პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოსული კადრების უმრავლესობა ისევ უკან გარბის ხოლმე. ეს ძირითადად იმ მიზეზი ხდება. რომ ახალგაზრდების აღზრდისათვის, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სათანადოდ არ ზრუნავენ. განსაკუთრებით ცუდად არის დაკომპლექტებული კადრებით პირუტყვის სასაკლაო უბანი. კრებაზე დასახელეს ასეთი ფაქტი: წელს რვა თვეში აქ 51 წვრილი ქურდობა მოხდა.

პარტიული კომიტეტი, საამქრო პარტორგანიზაციები ვერ ახდენენ ზეგავლენას, რომ ამაღლდეს საწარმოო უბნებზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის როლი. ამიტომ იყო, რომ გაჩიანის ხორც-კომბინატის მწყობრში შესვლას მათ რატომღაც არ შეუწყვეს ხელი. გამოიჩინეს საეჭვო გულგრილობა. გაჩიანის კომპლექსის მშენებლობის გაჩიანურებისათვის საყვედური გამოთქვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მისამართითაც, რომელიც მხოლოდ დაპირებებს სჯერდება.

დამფიქრებელია სახალხო კონტროლიორთა მოქმედებაც (მათი რიცხვი 128-ია). მათ უარი განაცხადეს კონტროლი დაეწესებინათ იმ უბნებისადმი, სადაც პარტიული კომიტეტის წინადადებით ისინი გაანწყლეს.

კომუნისტთა კამათიდან ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ გაერთიანებას პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომი საკორო პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწევს.

— ჩვენ ხშირად გვიბარებენ რაიკომის ცალკეულ განყოფილებებში, — თქვეს კრებაზე, — კარგი იქნება, რომ დაიწესონ მიღების ერთიანი დღე, ხელმძღვანელების, სპეციალისტების სხსტემატური მოცდენა ხომ უარყოფითად მოქმედებს მუშაობაზე. არანაკლებ გვაფიქრებს გაუთავებელი შემოწმებები, ზოგჯერ რამდენიმე კომისია ერთად გვამოწმებს.

მაგრამ ყველაზე ხელშემშლელ მიზეზად კომუნისტებმა გრაფიკის დარღვევით მუშაობა მიიჩნიეს.

ეს მართლაც ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ იყო, რომ შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ხორცკომბინატებისათვის პირუტყვის ჩაბარების გრაფიკის დაწესებისა შესახებ. ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ თავიდან აიცილონ ეერიშობანა და რესპუბლიკის მოსახლეობა წლის ყოველ დროში უზრუნველყონ ხორცითა და ხორცის პროდუქტებით.

როგორც ნახევრფაბრიკატების საამქროს მუშამ ვ. ხუბარუყოვმა და ხორცისა და ცხიმეულის კორპუსის უფროსმა ტ. პოპიაშვილმა აღნიშნეს, იმის გამო, რომ პირუტყვის შემოსვლის გრაფიკი დაირღვა. ხუთი თვის მანძილზე ხშირად უმოქმედოთ ვიყავით, ხოლო შემდეგ დღეებში კი თითქმის 12-14 საათს ვმუშაობდითო.

საყურადღებოა ასეთი ფაქტი: წელს რვა თვეში საერთო მოცდენებმა 11.634 კაცდღე შეადგინა. ეს, მართლაც, დამაფიქრებელია.

კომუნისტებმა მოითხოვეს, რომ ამ საქმის მოგვარებაში მათ პრაქტიკულად დაეხმაროს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, ხოლო მთავარი ინჟინრის მოადგილის გ. ტორონჯაძის აზრით, სამინისტრომ აგრეთვე უნდა გაადვილოს კონტროლი გაჩიანის საწარმოო კომპლექსის დროზე ასამოქმედებლად, ხოლო კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხი აგებინოს.

ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება ასეთი მოთხოვნა, ისევე როგორც გულღიად და ბუნებრივად თქვეს კრების მონაწილეებმა. და განა გასაკვირია, რომ ისინი დახმარებას მოელოდნენ უპირველეს ყოვლისა თავიანთი წარმოების მართვის რესპუბლიკური შტაბისაგან?! მით უმეტეს, რომ ამ კრებას მინისტრის პირველი მოადგილე ესწრებოდა.

უსამართლობა იქნებოდა, არ გვთქვა ისიც, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ უკანასკნელ ხანს ბევრი კარგი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა, ბევრი კარგი საქმეც წამოიწყო, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით მეტია, თუნდაც იგივე გრაფიკის საკითხი აკილო. აი, რა განაცხადა წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის პარტიული კრებაზე მწყემსმა, ხაჭართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ჭანაშვილმა:

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაწარმოები ხშირად არღვევენ ცხვრის მიღების გრაფიკს. მაგალითად, ახალციხის ხორცკომბინატში 26 ხექტემბერს გრაფიკის მიხედვით გადავიყვანეთ ოთხი ათასი ხული ცხვარი, კომბინატის ხელმძღვანელობამ კი პირუტყვი მხოლოდ 5 ოქტომბერს მიიღო. ამით დაახლოებით 6 ტონა ხორცი დაიკარგა.

და რა უცნაურად გვეჩვენება მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. მ. შუბითიძის პოზიცია, რომელმაც კამათის დასასრულს ხაანგარიშო-საარჩევნო კრების მონაწილეთა კრიტიკულ შენიშვნებს არასერიოზული უწოდა. — საჭიროა, — მიმართა მან კომუნისტებს, — ხამინისტროს კრიტიკას თავი დაანებოთ და იმ თავისუფალ დროს, როცა საქმე არა გაქვთ, შენობის კაპიტალურ შეკეთებაზე ან ეზოს დასუფთავებაზე იზრუნოთ(?!).

ამ განცხადებამ დარბაზში უხერხულობა ჩამოაგდო.

გავიხსენოთ ამასწინათ აზერბაიჯანის დედაქალაქში ყოფნისას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება:

„...არაფერი იხე არ ვნებს პარტიისა და ხალხის ინტერესებს, როგორც ნაკლოვანებათა მიჩქმალვის ცდები, ხამართლიანი კრიტიკის თავიდან აცილება, მიხი მიჩუმათება და მითუმეტეს კრიტიკის ჩახშობა, იმათი დევნა, ვინც კრიტიკით გამოდის.

ხამწუხაროდ, ამას ჯერ კიდევ ვხედავთ“.

რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია იმაში, რომ კომუნისტებს უფრო ინიციატივიანი, უფრო მოდალეაყოფიერი შრომისათვის მოვუწოდოთ. მაგრამ ყოველმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ვინც არ უნდა იყოს იგი, მხარი უნდა დაუჭიროს ხამართლიან კრიტიკას, დიუყოვნებლივ მიიღოს იგი და იმოქმედოს კიდეც. რომ ამ კრიტიკას ხახურველი შედეგიც მოპყვეს. კრიტიკამ არ უნდა გაგვაგულიოს, იგი კომბალი კი არ არის, რომ მისი წვრილი ბოლი ხელში გვეჭიროს და მხოლოდ სხვებს ვურტყაო.

არც ერთი ხამართლიანი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს!

ბ. ალექსიძე.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა

აბლახატოვს ილია ივანეს ძეს — „საქსაბპროექტის“ ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს, **პროდსკის ვლადიმერ მიხეილის ძეს** — თბილისის სახალხო ღვაუტატოა საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინჟმშენის“ ტრესტის განყოფილების გამგეს, **გაბიხონიას გიორგი ვარლამის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მმართველს, **გაბუნიას კონსტანტინე იოსების ძეს** — „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსს, **გამრეკელს გლებ ნიკოლოზის ძეს** — საქართველოს სსრ საბინაოკომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნმშენის“ ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს, **გელდანიშვილს კონსტანტინე გიორგის ძეს** — გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორის, ყოფილ მოადგილეს კაპიტალური მშენებლობის დარგში, ამჟამად ჰენაინორს, **გინცეს ვლადიმერ ვლადიმერის ძეს** — „კავტრანსსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **თოლორიას დიმიტრი ანდრიას ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **იგნატიადის ნიკოლოზ დიმიტრის ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, **კვიცარიძეს ოთარ ივანეს ძეს** — საქართველოს სსრ საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს „საქსაშენმასალების“ სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების კენერალურ დირექტორს, **კოკანაძეს ნოდარ ალექსანდრეს ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 მექანიზაციის ტრესტის მთავარ ინჟინერს, **კოტანოვს პავლე მაქსიმეს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველს, **გაბუნიას კონსტანტინე იოსების ძეს** — „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსს, **ბაბალაშვილს ვახტანგ ნიკოლოზის ძეს** — თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტალური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **შახნაზაროვს ვლადიმერ ანდრიას ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **შუკაკიძეს ოთარ ილიას ძეს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის უფროსი პირველ მოადგილეს, ამჟამად პენსიონერს, **ხასიას გრიგოლ რაფდენის ძეს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 3 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს, **ჯოფარიძეს თენგიზ ივანეს ძეს** — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის „საქმექანმონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამმართველოს უფროსს, **ჯორჯაძეს პაველ ვახტანგის ძეს** — „თბილპიდროპროექტის“ ინსტიტუტის პერსპექტიული დაპროექტების განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორისა

აბრამაშვილს ვახტანგ გრიგოლის ძეს — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის საარქიტექტორო სახელოსნოს ხელმძღვანელს, **მელიქიშვილს დიმიტრი ალექსანდრეს ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ არქიტექტორს, **სამთელაძეს მიხეილ ალექსანდრეს ძეს** — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის საარქიტექტორო სახელოსნოს ხელმძღვანელის მოადგილეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგისა

ბლაგოვეშჩენსკის ვსევოლოდ ნიკოლოზის ძეს — „საკერანსსახპროექტის“ ინსტიტუტის მთავარ გეოლოგს, **ლომთაძეს ამბროსი ვასილის ძეს** — „თბილავტოგზატრანსსახპროექტის“ ინსტიტუტის მთავარ გეოლოგს, **ნოზაძეს მიხეილ კონსტანტინეს ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ ტრესტის მთავარ ტექნოლოგს, **სიმონიას ალექსანდრე მიხეილის ძეს** — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის „საქმექანმონტაჟის“ ტრესტის მთავარ ინჟინერს, **ტიმოფეევს ვლადიმერ ანდრიას ძეს**—„თბილავტოგზატრანსსახპროექტის“ ინსტიტუტის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, **ქჟჟაიას აკაკი თევდორეს ძეს** — „საქსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **შაიშმელაშვილს ვახტანგ ნიკოლოზის ძეს** — თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტალური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **შახნაზაროვს ვლადიმერ ანდრიას ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **შუკაკიძეს ოთარ ილიას ძეს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის უფროსი პირველ მოადგილეს, ამჟამად პენსიონერს, **ხასიას გრიგოლ რაფდენის ძეს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 3 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს, **ჯორჯაძეს ნოდარ ალექსანდრეს ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 მექანიზაციის ტრესტის მთავარ ინჟინერს, **კოტანოვს პავლე მაქსიმეს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 16 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს, **კურუას შალვა ბამბანტის ძეს** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქასპის ცემენტის ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ლომიძეს შოთა აბესალომის ძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის ოაცის მინისტრის მოადგილეს, **მაგიდოვს მარატ ბორისის ძეს** — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, **მღვდელაძეს დავით თევდორეს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საქსოფორგტექმშ ე ნ ი ს“ ტრესტის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, **ნოზაძეს მიხეილ კონსტანტინეს ძეს** — „საქსაბპროექტის“ ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს, **პროდსკის ვლადიმერ მიხეილის ძეს** — თბილისის სახალხო ღვაუტატოა საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინჟმშენის“ ტრესტის განყოფილების გამგეს, **გაბიხონიას გიორგი ვარლამის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მმართველს, **გაბუნიას კონსტანტინე იოსების ძეს** — „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსს, **გამრეკელს გლებ ნიკოლოზის ძეს** — საქართველოს სსრ საბინაოკომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნმშენის“ ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს, **ზაბანაროვს ვლადიმერ ანდრიას ძეს** — „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **ზუბკოვს ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს** — „ინჟმშენის“ ტრესტის ელექტროსაზგამყვანთა ბრიგადირს, **გონგაძეს გიორგი გრიგოლის ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 16 „ეურორტმშენის“ ტრესტის მამხლოდელს, **გუდავაძეს ვალერიან მოსეს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 13 მოძრავი მექანიზებული კოლონის ბრიგადირს, **ზარქუას ამირან შალვას ძეს** — „თბილგეორმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, **იჩკიტა ვახტანგ ვასილის ძეს**—საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ელექტროშემდუღებელს, **კრავცოვს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს** —„კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის მთავარ ტექნოლოგს, **მამუჩაშვილს ვანო მიხეილის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქკოლმეურნემშენის მცხეთის სოფლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ბრიგადირს, **ორდენიძეს ივანე ვასილის ძეს** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის სამინერნინგეობათა სამმართველოს ბრიგადირს, **უშაკოვს გიორგი ალექსანდრეს ძეს** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კირამაკულა კომბინატის მეყალიბე-მემოდელეს, **ქეთხოშვილს გიორგი თედოს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქკოლმეურნემშენის გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის კალატოზს, **შენგელიას რომან ისაკის ძეს** — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის სამმართველოს „ბრეწვენტალაციის“ ბრიგადირს, **ჭაკვეს გრიგოლ ბესარიონის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 12 მოძრავი მექანიზებული კოლონის კალატოზს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა

ბედიას დომენტი დიმიტრის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ ტრესტის მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატის მთავარ მექანიკოსს, **ბეჟუაშვილს ივანე დავითის ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსს, **ბესტავაშვილს ირაკლი კონსტანტინეს ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ხუროს, **გელდიაშვილს შალვა ბესარიონის ძეს** — „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ ტრესტის № 131 სამშენებლო სამმართველოს ხუროს, **გოგელიძეს რეზო კონსტანტინეს ძეს** — „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის ელექტროხაზგამყვანთა ბრიგადირს, **გონგაძეს გიორგი გრიგოლის ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 16 „ეურორტმშენის“ ტრესტის მამხლოდელს, **გუდავაძეს ვალერიან მოსეს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 13 მოძრავი მექანიზებული კოლონის ბრიგადირს, **ზარქუას ამირან შალვას ძეს** — „თბილგეორმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, **იჩკიტა ვახტანგ ვასილის ძეს**—საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ელექტროშემდუღებელს, **კრავცოვს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს** —„კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის მთავარ ტექნოლოგს, **მამუჩაშვილს ვანო მიხეილის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქკოლმეურნემშენის მცხეთის სოფლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ბრიგადირს, **ორდენიძეს ივანე ვასილის ძეს** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის სამინერნინგეობათა სამმართველოს ბრიგადირს, **უშაკოვს გიორგი ალექსანდრეს ძეს** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კირამაკულა კომბინატის მეყალიბე-მემოდელეს, **ქეთხოშვილს გიორგი თედოს ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქკოლმეურნემშენის გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის კალატოზს, **შენგელიას რომან ისაკის ძეს** — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის სამმართველოს „ბრეწვენტალაციის“ ბრიგადირს, **ჭაკვეს გრიგოლ ბესარიონის ძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 12 მოძრავი მექანიზებული კოლონის კალატოზს.

მარნეულის საკონსერვო კომბინატის ტომატ-პასტახა და ატმის წვენს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. მარტო მიმდინარე წელს კომბინატი, რომელიც თამარისის, ბოლნისისა და მარაბდის საკონსერვო ქარხნებს აერთიანებს, გამოუშვებს 15 მილიონ პირობით ქილა ტომატს, ნატურალურ წვენებს, ჯემს, მურაბას, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება.

მწყობრში ჩადგა ნატურალური წვენების საწარმოო ხაზი, რომლის წლიური მწარმოებლობა 11 მილიონი პირობითი ქილაა.

სურათზე: კომბინატის მუშა ციური პეტრიაშვილი ხინკავს კონსერვებს, რომლებსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ი. დგებითაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სკოლამდელთა სასიკეთოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ მუშაობენ სეზონური საბავშვო ბაგა-ბაღები ქალაქ წყალტუბოს ზონის, გურჯაანის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონების კოლმეურნეობებში.

სხდომის მონაწილეთა ყურადღება დაეთმო მთელ რიგ კოლმეურნეობათა საბავშვო დაწესებულებების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ბევრი ბაგა-ბაღი მოთავსებულია გამოუსადეგარ შენობებში, სადაც არ არის შენახული პირობები ბავშვებთან ნორმალური მუშაობისათვის, იკარგნობა ინვენტარის, სათამაშოების, საბავშვო ლიტერატურის ნაკლებობა. ყველა აღმზრდელს არა აქვს სპეციალური განათლება.

დადგენილია, რომ ზოგიერთი სოფლისაბჭოს აღმასკომი არ ზრუნავს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში შეიქმნას სეზონური საბავშვო ბაგა-ბაღები, უზრუნველყოფილ იქნეს მათი მატერიალური ბაზა, დაკომპლექტდეს ბაგა-ბაღები კვალიფიციური აღმზრდელებით, მაღალ დონეზე მიმდინარეობდეს აღმზრდელობითი მუშაობა.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. მდივანმა.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საინფორმი).

მეცნიერება და ჩვენი ფარმოება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

ინსტიტუტები—მეტალურგიას

ვარტიის XXV ყრილობისა და შემდგომ პერიოდში არაერთ საგრძნობელი ზომა დადგენილებას წითელ ზოლად გასდევს ის ფუძემდებლური მითითება, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და მათ შორის შავი მეტალურგიის განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ისე მეცნიერების მიღწევათა სისტემატური და ფართო დანერგვა.

ჯერჯერობით წარმოუდგენელია ტექნიკური პროგრესი ლითონის წარმოების მუდმივი ზრდისა და მისი ხარისხის, განუწყვეტელი გაუმჯობესების გარეშე, ხოლო საერთოდ წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და პროდუქციის ხარისხის სრულყოფა კი შეუძლებელია, თუ არ იქნება მჭიდრო და მყარი კავშირი მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

რუსთაველი მეტალურგები, რომლებსაც კარგად ესმით ამ კავშირის მნიშვნელობა, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე სისტემატურად აფართოებენ და განამტკიცებენ საწარმოს ურთიერთობას სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო ინსტიტუტებთან.

აქ ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წარმოების ხასიათის თავისებურებით უნიკალურია საბჭოთა კავშირში. იგი ერთადერთი საწარმოა ქვეყნის შავი მეტალურგიის სამინისტროს სისტემაში, სადაც უშვებენ კოქსს და აგლომერატს, თუმცა და ფოლადს, ნაირსახეობის ნაგლინს, ცხლად ნაგლინ უნაკერო და აგრეთვე ცივად ნაგლინ მილებს.

ასეთ რთულ მეტალურგიულ კომპლექსში ტექნოლოგიური პროცესები კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ვიდრე ჩვეულებრივ საწარმოში, და ყველა წინა წარმოება პირდაპირ გავლენას იხდენს მომდევნოზე, აგრეთვე პროდუქციის ხარისხსა და საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, და, რაღა თქმა უნდა, რენტაბელობაზეც.

ამის გამო ოპტიმალური მეტალურგიული პროცესების შემუშავებას, გამოცდასა და დანერგვას ქარხანაში განვიხილავთ არა მარტო როგორც ამა თუ იმ აგრეგატსა ან საამქროში განხორციელებულ ლოკალურ ღონისძიებას, არამედ ისეთს, რომელიც ეფექტურ გავლენას მოახდენს მთლიანად საწარმოს ტექნიკურ პროგრესზე.

შემთხვევითი როდია, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ხშირად სიახლეთა საცდელ პოლიგონს უწოდებენ.

მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ჩვენი საწარმოს მარტების საამქროში სსრ კავშირში პირველად აკეთებენ და ნაყოფიერად მუშაობს ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური ტიპის დანადგარი, რამაც საშუალება მოგვცა მანამდე არსებულ ტექნოლოგიასთან შედარებით ნაგლინის წარმოებაზე ყოველწლიურად 10 პროცენტამდე ლითონი დაგვზოგა. ფოლადი გამოხატულებით ეკონომია 200 ათასამდე მანეთს აღწევს.

აღნიშნული დანადგარის შექმნასა და ათვისებაში ქარხანასთან ერთად დიდი მუშაობა გაწიეს მოსკოვისა და ხარკოვის მეტალურგიული მანქანებისა და საკავშირო და უკრაინის მეტალურგიულმა ინსტიტუტებმა.

ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე პირველ ხანებში მხოლოდ ფურცლოვანი ნაგლინათაოვის ვიღებდით ნამზადს. მისი რეკონსტრუქციის შემდეგ კი კვადრატულ ნამზადსაც ვასხამთ, რომელიც შემდგომში მილნამზადისა და სორტული ნაგლინათაოვის გამოიყენება.

ორივე შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური ეფექტის გარდა, საერთოდ დიდად შეუმსუბუქდა მუშაობა და ამ საქმისადან გათავისუფლდა საგლინავი დგანი „1000“.

ასევე ჩვენს ქვეყანაში პირველად მოსკოვის მცენარეთა დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტთან ერთად ქარხნის ქიმიურ საამქროში ავითვისეთ კოლოიდური გოგირდის წარმოება სრულიად ახალი სქემით. ამკამად ქარხანა აღნიშნულ საცდელ დანადგარზე 1000 ტონამდე მაღალხარისხოვან კოლოიდურ გოგირდს უშვებს რესპუბლიკის მევენახეობისათვის.

ათიოდე წლის წინათ ნავთობმომპოვებლებმა მეტალურგთა წინაშე დააყენეს პრობლემა: შემუშავებულიყო ისეთი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფდა კოროზიაგამძლე მილების წარმოებას ღია ზღვაში ნავთობის მოპოვებისათვის.

ეს პრობლემა რუსთაველმა მეტალურგებმა დნეპროპეტროვსკის მილების წარმოების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტთან ერთად შემუშავეს და წარმოებაში დაინერგა ფოლადის ახალი მარკა, რომელმაც შეცვალა ფოლადი 36-2. ამ ახალი მარკის ფოლადის მილებმა ნავთობის მრეწველობის მუშაკთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მისი ეკონომიკური ეფექტი წელიწადში 100-120 ათასი მანეთია.

ამავე ინსტიტუტის ლითონთა წნეევით დამუშავების კათედრასთან თანამშრომლობით დაინერგა მილების ცივ მდგომარეობაში ბოლოების საჭყლეტი და გამასწორებელი მანქანები, რამაც 200 ათასამდე მანეთი დაუზოგა წარმოებას. მანქანათმშენებლობის კათედრის წინადადებითა და აქტიური დახმარებით კი მილსაგლინავ „140“ ოგანზე დაიდგა გლინების პროცესში მილების ბოლოების მომჭერი ფაზა (რედუქციული დგანის შემდეგ).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირით რუსთაველმა მეტალურგებმა დანერგეს მოდიფიცირებული თუჯით ბოყვების ჩამოსხმა. ამან ერთბაშად შეამცირა ბოყვების ხარჯი ყოველ ტონა გამომშვებულ ფოლადზე. ჩვენს გარდა ამ მეთოდს ახლა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მთელ რიგ

საქართველოს სსრ სახალხო
კონტროლის კომიტეტში

სიყალბე, დანაშაული

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რეპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის ზოგიერთი მუშაკისათვის ხამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებათა მიერ დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების გაცემის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგებზე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უკომპრომისო ბრძოლას ეწევა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე ფართო მსჯელობა მიმდინარეობს ამ მხრივ დაწესებულ მუშაობაზე, პერსპექტივებზე, სახავენ ახალ გზებსა და მეთოდებს ორსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის მოთხოვნა სადღიაზე სწორედ ამ საკითხის ერთ მხარეს, კერძოდ, ეკონომიკურ ზელშეწყობით მომსახურების სფეროს ზოგიერთ მუშაკებზე დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების გაცემის დარღვევ ორსებულ დამახინჯებებს, სიყალბეს შეეხო.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ექიმი ბიროტად იყენებს მინიჭებულ უფლებებს, სჩადის სიყალბეს, შეგებულად უშლის ხელს დამნაშავე პირთა წინააღმდეგ დროულად საჭირო ზომების მიღებას.

თბილისის პირველი მაისის რაიონის კვებგაჭრობის დირექციის ბრძანებით გაჭრობის წესების დარღვევისათვის თანამშრომბობიდან გათავისუფლეს № 4 გასტრონომის გამგის მოადგილე ნ. ადეიშვილი, მაგრამ შემდგომ იგი დაიდგინეს სამუშაოზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი — თ. მესხი) მიერ გაკეთებული ცნობის საფუძველზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ნ. ადეიშვილი 5-6 კვირის ორსული იყო. ვაჭრობის წესების განმეორებით დარღვევისათვის ნ. ადეიშვილი კვლავ გაათავისუფლეს სამუშაოდან, მაგრამ მან ისევე ინსტიტუტიდან ანალოგიური ცნობა წარადგინა. შემოწმებით კი დადგინდა, რომ ნ. ადეიშვილი ორსულად არ იყო.

ორივე შემთხვევაში ნ. ადეიშვილს ორსულობის შესახებ ცნობა მისცა აღნიშნული ინსტიტუტის პოლიკლინიკურმა განყოფილებამ, სადაც დამკვიდრებული ფოროებით შრომისუუნარობის ფურცლების ნაცვლად სხვადასხვა უკანონო ცნობის მასობრივად გაცემა. განყოფილების გამგემ გ. სარალიძემ კი სათანადო ღონისძიებები ვერ განახორციელა ყალბი ცნობების გაცემის აღსაკვეთად.

აშკარა სიყალბე ჩაიდინა თბილისის მე-10 პოლიკლინიკის ექიმმა ი. ნოსენკომ (მთავარი ექიმი — გ. გურგენიძე), რომელმაც დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ა. ოიეკოვასათვის გაცემულად გააფორმა, ფაქტიურად კი შეუსწავლა და მისცა ამერიკაკასების რკინიგზის თბილისის ვაგზლის რესტორნის თანამშრომელს გ. სენაშვილს სამედიცინო დოკუმენტაციის გაფორმებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. გურგენიძე და გ. სარალიძე მსგავსი დარღვევებისათვის წინათაც ყოფილან დასჯილნი, მაგრამ, როგორც ჩანს, აქედან მათ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს.

თბილისის 26-ე პოლიკლინიკის ექიმ-ოტორინოლარინგოლოგმა ნ. ქაჯაიამ (პოლიკლინიკის ყოფილი მთავარი ექიმი — ი. ახვლედიანი) პირველი მაისის რაიონის კვებგაჭრობის № 15 მაღაზიის თანამშრომელს ვ. იოსიფოვს არასწორად მისცა დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი. პოლიკლინიკაში არ აღმოჩნდა ამ ფურცლის გაცემის საფუძველი.

ამისათვის, რომ „გორგაჭრობის“ № 63 მაღაზიის გამგე ლ. მაჩახიძისათვის პასუხისმგებლობა აეკისრებინა, გორის პოლიკლინიკის უბნის ექიმმა ი. კაჩმაზოვმ ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილის ე. ქიქილაშვილის ხელისშეწყობით უყანონოდ ცხვი გასცა დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი.

მომსახურების სფეროს მუშაკებს — სიღნაღის რაიკავშირის წნორის საზაკვების გაერთიანების დირექტორს რ. ტუხაშვილს, თბილისის ოქტომბრის რაიონის საზაკვების ტრესტის № 81 გაერთიანების დირექტორს გ. ვეროლავას, „ყვარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს გ. დათუაშვილს, თბილისის ოქტომბრის რაიონის საზაკვების ტრესტის № 95 გაერთიანების დირექტორს, ჯ. ჩალაძეს, კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ყოფილ დირექტორს ზ. ფილიპოვასა და სხვებს დროებითი შრომისუუნარობის ფურცლები უსაფუძვლოდ მისცეს სოფელ ბოდბისხევის საექიმო ამბულატორიის გამგემ ვ. ტუხაშვილ-მეედლემ, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პირველი საავადმყოფოს ექიმმმა გ. სტეფანიამა და ს. ჯანჯოლავამ, თბილისის მე-3 პოლიკლინიკის ექიმმა მ. ჩიქოვანმა და ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილემ ე. ლეჟავამ, ყვარლის რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ ლ. მეტრეველმა, თბილისის მე-7 პოლიკლინიკის ექიმმა ვ. გაბარაევამ, 27-ე პოლიკლინიკის ექიმმა ი. ბერიძემ და სხვებმა.

დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზების მიერ ჯერ კიდევ არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების საქმეში.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს თ. მესხს სიფაქტური გამოუცხადა; ამავე ინსტიტუტის პოლიკლინიკური განყოფილების გამგე გ. სარალიძე და მე-10 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ვ. გურგენიძე გადაყენა თანამდებობიდან, ხოლო თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მე-3 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს ე. ლეჟავას გამოუცხადა საყვედური;

სტაციონარში სათანადო სამედიცინო მასალების გარეშე ავადმყოფის ჰოთავსებისათვის მკაცრად იქნა გაფრთხილებული ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმი დ. ცქიტიშვილი.

კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, გორის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პირველი საავადმყოფოს და სიღნაღის რაიონის საავადმყოფოს ხელმძღვანელობის მიერ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ზოგიერთი თანამშრომელისათვის დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების უსაფუძვლოდ გაცემისათვის მედიცინი 12 მუშაკს დაედო სხვადასხვა დისციპლინური სასჯელი, მათ შორის დათხოვნილ იქნენ თანამდებობიდან ყვარელის რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ლ. მეტრეველი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პირველი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე ე. კოჩარიანი, მორიგე ექიმი გ. სტეფანიანი და გორის პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე ა. ქიქილაშვილი. გ. დათუაშვილისა და ო. ტუხაშვილისათვის გაცემული დროებითი შრომისუუნარობის ფურცლები გაუქმებულია.

კომიტეტმა დაადასტურა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პირველი საავადმყოფოს, მე-3, მე-7, მე-10, 26-ე, 27-ე პოლიკლინიკების, ყვარლისა და სიღნაღის რაისაავადმყოფოების მთავარ ექიმებს, დ. ცქიტიშვილს, ლ. ნანეიშვილს, გ. ლოთუაშვილს, ე. მახარაძეს, გ. მელქაძეს, ტ. პიტიერიშვილს, გ. ნასრაშვილს, ავრეთვე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს თ. მესხს ამ შემოწმების შედეგების შესახებ ოახლოეს ხანში ანგარიში ჩაბარონ კოლეგიებს, გააცნონ მთ კომიტეტს დადგენილება, დასაბონ ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის გასაუმჯობესებლად.

შეხვედრა იუგოსლავ მეგობრებთან

9 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი ეესაუბრა იუგოსლავიის ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის ლიგის დელეგაციას, რომელიც სტუმრად არის თბილისში საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვეით. დელეგაციაში შედიან ლიგის პრეზიდენტი, იუგოსლავიის სოციალისტური თედერაციული რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის საკავშირო ვიჩის თავმჯდომარის მოადგილე ბოგდან ოსოლნიკი, ლიგის პრეზიდიუმის წევრი, სერბიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის პრეზიდიუმის წევრი სმაილ ლუცა, ლიგის წევრი, იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინის წევრი, კოსოვოს ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი ვიჩის წევრი ნუში ბაიახითი.

— ჩვენ უკვე სამი დღეა საქართველოში ვართ, — თქვა დელეგაციის მეთაურმა ბოგდან ოსოლნიკმა. — ამ ხნის მანძილზე შესაძლებლობა გვქონდა გაგვცნობოდით სიღნაღის რაიონის კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებას, დაგვეთვალიერებინა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. ჩვენი აღტაცება გამოიწვია ყოველივე ამან, რაც თქვენს რესპუბლიკაში ვნახეთ. ბოლო გვაქვს, რომ ჩვენი ჩამოსვლა, საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრები წვლილს შეიტანს იუგოსლავია და საბჭოთა ხალხების მეგობრული კონტაქტების შემდგომ გამმტკიცებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. მ. ხინთბა, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარი ი. ვ. ნონეშვილი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთის ფასი 2 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ცხოვრება



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

საკვლევი იტყობინება

მშვიდობისათვის, დაკაგულობის შენელებისათვის

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკვლევი კორ). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIII სესიაზე, რომელზეც უკვე 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ, მთავრდება ზოგადპოლიტიკური დისკუსია. მიღმა მომდინარეობამ ცხადყო, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ახალი ომის დაწყების საფრთხის წინააღმდეგ სსრ კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მტკიცე ბრძოლის წყალობით დაძაბულობის შენელება კვლავ საერთაშორისო ურთიერთობის წამყვან ტენდენციად რჩება. მრავალი დღის კამათიც გვარწმუნებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც ყველაზე შუბლმაგარი იმპერიალისტური წრეებისა და მათთან დაკავშირებული პეკინელ-ნეზმისა და ექსპანსიის ძალების მიზეზით გართულდა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და ყველაზე კარდინალური ამოცანა გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღებაა.

საბჭოთა დელეგაცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზუსტი და მკაფიო დირექტივებით ჩამოვიდა, თანამიმდევრულად ადგას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და რეალური განიარაღების ხაზს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია გვინარადების პრობლემების გადაწყვეტა. მსოფლიოს ათობით ქვეყნის წარმომადგენლებმა ოვიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა წინადადებები ამ დარგში გამოხატავენ მილიონობით ადამიანის მისწრაფებას მტკიცე მშვიდობიანობა, უშიშროებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისადმი.

საბჭოთა ელჩ-მრჩეველ ალექსანდრ ბელეცკის ოვიანი ბაბოჯია უბირთვო ბალეტ-პოინტის (ამერიკის შეერთებული შტატები) სამხედრო ოლს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებასა და მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა და სისტემათა წარმოებას“.

„პაკისტანის მთავრობა განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა საბჭოთა კავშირის წინადადებას უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადების თაობაზე, — აღნიშნა პაკისტანის დელეგაციის მეთაურმა ა ალი შაჰმ. — ჩვენი აზრით, იგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. ვიმედოვნებთ, რომ ამ ახალ ინიციატივას სერიოზულად განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელი სესია“.

ინტერესით ეხმაურებიან საბჭოთა კავშირის იმ წინადადებას, რომ არ განალაგონ ბირთვული იარაღი იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, სადაც იგი ამჟამად არ არის. „საბჭოთა კავშირის ინიციატივები შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს და ხელს უწყობს უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიებს,“ — თქვა ავალანეის დელეგაციის მეთაურმა ა. ჯალიმ. როგორც ტანზანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. მკაპამ აღნიშნა, ეს სამშვიდობო ინიციატივები ხაზს უსვამენ იმას, რომ „სრულიად აუცილებელია ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღების ესკალაციას“.

ასამბლეის დელეგატები მზარს უჭერენ საბჭოთა კავშირის იმ მისწრაფებას, რომ არ დაუშვან მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა და სისტემათა და, უწინარეს ყოვლისა, ისეთი არაადამიანური იარაღის შექმნა, როგორიც ნეიტრონული იარაღია. „ჩეხოსლოვაკიის მთავრობის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესია უნდა გახდეს იმ შეთანხმების ღიდების შესახებ საქმიანი მოლაპარაკების დაწყების ინიციატორი, რომელიც აკრძალავდა ნეიტრონული იარაღის შეფუშავებასა და განლაგებას“, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ჰნოუპეკმა.

დისკუსიის მონაწილეებმა ჭეშმარიტებათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად ესწრაფვოდა გამალებული შეიარაღების შეკავების დარგში ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას, როგორიც არის ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა და სტატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების უსწრაფესად დამთავრება. „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმება და ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვა, — განაცხადა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვაიმურიუნენმა, — პოზიტიურ გავლენას მოახდენს განიარაღებასა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა ურთიერთობაზე“.

არჩევნები ავსტრიაში

ვენა, 10 ოქტომბერი. (საკვლევი). ავსტრიის ვენისა და შტირიის მხარეში გუშინ გაიმართა ლანდტაგების (მხარეთა პარლამენტების) არჩევნები. წინასწარი არაოფიციალური მონაცემებით, ვენაში გაიმარჯვა ავსტრიის სოციალისტურმა პარტიამ. მან მიიღო 62 მანდატი. შტირის მთავრობას სათავეში ჩაუდგება ავსტრიის სახალხო პარტია (30 დეპუტატის ადგილი).

რეაქციის გამოცდომა

ანკარა, 10 ოქტომბერი. (საკვლევი). ახალი ტერორისტული აქცია ჩაიდინეს მოფაშისტთა არამზადებმა თურქეთის დედაქალაქში. სამი შეიარაღებული პირი ღამით ბაზჩელიევლების რაიონის ერთ-ერთ სახლში შეიჭრა და დახოცა ექვსი კაცი — თურქეთის მუშათა პარტიისა და პროგრესულად ახალგაზრდობის საზოგადოების აქტივისტები.

გულისწყრომით დაგმო მეშარჭენეთა დანაშაული თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იგი მიმართულია თურქეთის ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ. ისე როგორც ამგვარი ხხვა გამოხდომები.

თურქეთის მუშათა პარტიის ენერალურმა თავმჯდომარემ ბ. ბორანმა თურქეთის მთავრობის მეთაურთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ეს აქცია თურქეთის მუშათა პარტიის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი რგოლია.

პატრიოტთა ციმბალი

ბავანა, 10 ოქტომბერი. (საკვლევ). [illegible] ინსტიტუტი [illegible] ჩეტის ფაშისტური ხუნტის დანაშაულობანი, მის მიერ ჩილელ პატრიოტთა განადგურება.

აქ გამოქვეყნებულ კომპარტიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბევრი პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შესახებ ცნობებში ფაშისტური ხუნტა იტყობინება, რომ „დაიღუპნენ“ ან „უკვალოდ „დაიკარგნენ“, სინამდვილეში ტოცხალია და საპატიმროებში ჰყავთ დამწყვდეული.

ამიტომ ყველაზერი უნდა ეიღონოთ „ბამერალ“ პატრიოტთა გადასარჩენად. განცხადებაში კომპარტია მხარს უჭერს ჩილეთა ქალების — პოლიტიკური პატიმრების დედების, ცოლებისა და დების ვიეკაცობასა და სიმტკიცეს, რომლებიც „შვილების, ქმრებისა და ძმების განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

დოკუმენტში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩილელი ხალხი ყველაზეც თავდადებით იბრძოლებს პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, რომელებიც საყურადღებოა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან. დიდია პატრიოტებთან საერთაშორისო სოლიდარობა და მათი სამართლიანი მოთხოვნებისა მხარდაჭერის მნიშვნელობა.

კომპარტიას ამედა აქვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომდინარე სესია თავის წვლილს შეიტანს პინოჩეტის პუტჩის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ჩილელ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის.

სახიფათო გარიგება

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკვლევი). ჩილეში მმართველი ფაშისტური ხუნტის დამოკიდებულება პეკინის ახლანდელ ხელმძღვანელებთან აღმავალი ხაზით ვითარდება. ამას მოწმობს სანტიაგოდან მიღებული ცნობები.

ამ დღეებში ხელი მოაწერეს ხუნტისათვის მიტანილ ხელსაყოფელ კონტრაქტს ჩინეთის მიერ 90 ათასი ტონა ჩილეს სპილენძის შესყიდვის შესახებ. ეს 132 მილიონ დოლარის ღირებულება უდიდესია ორი ქვეყნის ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩილეს მხედრიონს ეს მიაჩნია, როგორც ხუნტის სამხედროდნო მრეწველობის მინისტრმა ენრიკე ვალენსუელამ განაცხადა, „ამას დადასტურებად, რომ ორივე მხარეს სურს, გაძლიერონ ორმხრივი სავაჭრო გაცვლა“.

ჩილეს სპილენძის კორპორაციის ენერალური დირექტორის გასტონ ფრეესის სიტყვით, უახლოეს მომავალში ჩილეში მოელიან ჩინეთის სავაჭრო დელეგაციას, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას პეკინის მიერ სხვა მინერალური ნედლეულის, კერძოდ მოლიბდენის შესყიდვის შესახებ.

ჩილე-ჩინეთის ურთიერთობა პოლიტიკური ხასიათაც აქტიურდება. ამ კვირაში პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხუან ხუას მიწვევით ორი ოფიციალურ ვიზიტად მიფრინავს ხუნტის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნან კუბ�eიროსი.

როგორც ცნობილი გახდა, იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჭუ ენ-ფენს გადასცემს ხუნტის მეთაურის პინოჩეტის წერილს ჩილეში ოფიციალური მოწვევით.

მოვლენები კომენტარით

ხალხის ნებისყოფას ვერ გატეხავენ!..

11 ოქტომბერი სამხრეთ აფრიკის პოლიტიკურ პატიმრებთან სოლიდარობის დღეა

15 წლის წინათ, 1963 წლის ოქტომბერში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტმა ხელისუფლებმა მოაწყვეს სასამართლო ფარსი, რომელიც „თერთმეტთა პროცესის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ასამართლებდნენ სამხრეთაფრიკელ პატრიოტებს, აპარტეიდის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებს ნელსონ მანდელას, უოლტერ სისულას გოვან მბეკის — სულ თერთმეტ კაცს. როცა მსოფლიო საზოგადოებრიობამ შეიტყო, რომ პატერიოტის რეჟიმი უნდა გასწორებოდა სამართლიანობისა და სამხრეთ აფრიკის ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის. მებრძოლებს, გადაჭრით მოითხოვა დაუყოვნებლივ შეეჩერებინათ ეს სასამართლო უკანონობა. 11 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას მოუწოდა გათავისუფლებინათ განსასჯელები, აგრეთვე სხვა პოლიტიკური პატიმრები — ყველანი, ვინც საპატიმროებში იტანჯებოდა აპარტეიდისადმი ოპოზიციის ბრალდებით. მიუხედავად მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნებისა, რომ შეეწყვეტათ სამარცხვინო სამსჯავრო, რასისტმა ხელისუფლებმა პატრიოტებს საშუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც „თერთმეტთა პროცესის“ მონაწილენი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დილეგებში დაამწყვდიეს. ამ წლების მანძილზე სამხრეთ აფრიკის ათასობით მეზნებარე პატრიოტმა გაიზიარა მათი ხვედრი, ბევრი დასაჯეს, ასობით კაცის მიმართ კვლავ წარმოებს გამოძიება. პატერიოტის რასისტი ხელისუფალნი აპატიმრებენ ყველას, ვინც ადამიანური ღირსებისათვის, ვინც იმისათვის იბრძვის, რომ მოისპოს აპარტეიდის ანტიჰუმანური სისტემა, რომლის შესაბამისად მუქი ფერის კანის ადამიანები არ შეიძლება ჰქონდეთ არც თავიანთი ტერიტორია, არც მოქალაქეობა, არც იურიდიული, არც პოლიტიკური, არც სხვა რაიმე დემოკრატიული უფლება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლმა სპეციალურმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა მთავრობასა და ორგანიზაციას 11 ოქტომბერი აღნიშნონ როგორც სამხრეთ აფრიკის პოლიტიკურ პატიმრებთან სოლიდარობის დღე. ამ დღეს მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა განაცხადებს, რომ მხარს უჭერს სამხრეთაფრიკელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. მთელ პლანეტაზე ახალი ძალით ჩაღდება სამხრეთ აფრიკის ხალხთა კანონიერი უფლებების დაცვის, აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კამპანია. „თერთმეტთა პროცესის“ მონაწილეთა სახელები ყველა პატიოსან ადამიანს მოაგონებს, რომ სანამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდი არსებობს, სამხრეთაფრიკელი ხალხის საუკეთესო შვილები დილეგებში იქნებიან. მაგრამ რასისტთა რეჟიმზე გამარჯვებისადმი, თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი პატრიოტთა მისწრაფებას ვერ გატეხავენ. თავისუფლებისათვის საბრძოლველად სამხრეთ აფრიკის მთელი ხალხი ირაზმება. (ხალხური კორ.).

ეშინიათ...

ერთხელ რასისტთა მეთაურმა ვან ბმიტმა დაიფიცა, თეთრები სამხრეთ როდეზიაში ათასი წლის მანძილზე იბატონებენ.

ამჟამად იგი მოუუხმობს თავის შერყეულ საყრდენს — თეთრკანიან უმცირესობას (ისინი უკვე 26-ჯერ ნაკლები არიან, ვიდრე ქვეყნის მკვიდრნი — აფრიკელები) — გაუძლონ კიდევ რამდენიმე თვეს, სანამ როდეზიას დატოვებდნენ.

სმიტის მოწოდება ამაოა. თეთრკანიანი კოლონისტები თავქუდმოგლეჯილი გარბიან, თითქმის ათასობით ყოველთვიურად. დარჩენილები კი ცხოვრობენ ავტომატის ჩახმახიდან თითის აუღებლად, როგორც ხურათზე, აღბეჭდილ ამ პატარა მაღაზიის მეპატრონე ხოლსბერგში.

მაგრამ ძალაუფლების ძალით შენარჩუნების ყველა ცდა მხოლოდ რასისტული რეჟიმის უძალურების დემონსტრაციაა. ვერც „ხელუს სკაუტების“ რაზმები — პროფესიული მკვლელთა ჯგუფები, რომლებიც ტერორს უწევენ მშვიდობიან მოსახლეობას, ვერც დაჭრავებული არამზადები, ხოლსბერგში დედამიწის ყველა კუთხიდან თავმოყრილნი, ვერც „მამაკაცთა არმია“ — პოლიციის ნაწილებში მოზახარე ხანში შეხული რეზერვისტები, ვერც ავტომატები, რომლებსაც არ იცილებენ თეთრკანიანი ფერმერები და მედუქნეები, ვერაფერი ვერ უშველის კოლონიზატორებს, რადგან არ არის ძალა, რომელმაც ხძლიოს ზომბავეს ხალხის ხწრაფვას დამოუკიდებლობისადმი.

ფოტო ჟურნალ „ბმბრნიდან“.

ყაჩაღების დინასჯია



ნიკარაგუელი „ჰუმანისტი“ და მისი დამცველები

ცენტრალური ამერიკის შუაგულში მდებარეობს პატარა სახელმწიფო ნიკარაგუა, რომელიც ამ ბოლო დროს მიპყრობილია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. ბურჟუაზიული ეკონომისტები ზშირად მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ რამდენი ოჯახი მართავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, იგულისხმენ ან საფრანგეთს. ნიკარაგუაში ასეთი პრობლემა არ არსებობს. აქ ეი უკვე 40 წელია გაუკეთებიათ ბატონობს ერთი ოჯახი — სომოსას ოჯახი.

სომოსას დინასტიას დასაბამი მისცა ეხლანდელი პრეზიდენტის პაპის მამამ ბერნბე სომოსამ, მეტსახელად „შვიდ ცხვრისახოცად“ ცნობილმა ყაჩაღმა, რომელმაც შარაგზაზე ძარცვითა და ავაზაკობით გაითქვა სახელი. ისტორიკოსი ლორენსო მონტუფარი წერს, „ბერნბე სომოსას სახელი შიშის ზარს სცემდაო არა მარტო ნიკარაგუას, არამედ მთელ ცენტრალურ ამერიკას“. 1849 წელს ამ ყაჩაღმა სიცოცხლე დაასრულა სახრჩობელაზე, რომელზეც იგი პრეზიდენტ მანუელ დე ლა სერდას ბრძანებით ჩამოკიდეს.

ბერნბეს შვილიშვილმა ანასტასიო სომოსა გარსამ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა პაპის ხელობა. თუ ბერნბე თავის საქმიანობაში ძირითადად მძარცველთა ჯგუფს ეყრდნობოდა, ანასტასიო სომოსა საკუთარ ხალხს უკვე შეერთებული შტატების აქტიური დახმარებით ებრძოდა. 1912-1933 წლებში ნიკარაგუაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რამდენჯერმე მოაწყო ინტერვენცია და ფაქტიურად დაიპყრო იგი.

ინტერვენციის წინააღმდეგ ნიკარაგუელმა ხალხმა გაიჩაღა გამნმათავისუფლებელი ბრძოლა ნიკარაგუას ეროვნული გმირის აუგუსტო სესარ სანდინოს მეთაურობით, მაგრამ 1934 წლის 21 თებერვალს ანასტასიო სომოსამ, რომელიც ამ დროს უკვე ნიკარაგუის ეროვნული გვარდიის უფროსი იყო, ამერიკის ბრძანებით ვერაგულად მოკლა სანდინო და დაიმკვიდრა „ლათინურ ამერიკის კაენის“ სამარცხვინო სახელი. „კეთილმა მეზობელმა“ მკვლელს დამსახურება არ დაუკარგა და მალე იგი ქვეყნის პრეზიდენტად გახდა, მაგრამ 1956 წელს დიქტატორი სომოსა მოკლა ახალგაზრდა პატრიოტმა რიგიმერტო პერესმა, თუმცა ძალაუფლება მაინც სომოსას ოჯახს დარჩა.

„რას ნიშნავს სიტყვა „დინასტია?“ — აღშფოთებით კითხულობს ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ანასტასიო სომოსა დებალი — უბრალოდ ჩვენს ოჯახს უყვარს პოლიტიკა და აქვს მისი წარმოების ნიჭი და უნარი“.

ახლანდელი დიქტატორი ანასტასიო („ტაჩიტო“) სომოსა დაიბადა 1925 წელს, დაამთავრა უესტ-პოინტის (ამერიკის შეერთებული შტატები) სამხედრო აკადემია, 23 წლისა იგი ყოველისშემძლე მამამ პოლკოვნიკად და ეროვნული გვარდიის უფროსად გახადა.

ანასტასიო სომოსამ იმისავითვე გამოამეცადინა თავი, როგორც სასტიკმა ჯალათმა. მისი ბრძანებით შექმნეს სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომლითაც თვალყურს ადევნებენ წამებასას ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას, რომ წამება არ შეწყდეს სომოსასთვის ყველაზე საინტერესო ადგილას. სომოსას ეკუთვნის ფრაზა: „ომმეცეი ნებისმიერი ადამიანი, გახადეთ ფეხსაცმელი და ერთი კოლოფი ასანთის მეშვეობით ავალაპარაკებ მას“. სამინაო პოლიტიკაში „სომოსა ეყრდნობა სამ პრინციპს — „მოწინააღმდეგეთათვის — ტყვია, მეგობართათვის — ქრთამი, დანარჩენისთვის კი ხელჯოკი“. სომოსას უყვარს ადამიანთა წამებაში მონაწილეობის მიღება.

1972 წლის 23 დეკემბერს, როცა არნახულმა მიწისძვრამ დაანგრია ქვეყნის დედაქალაქი მანაგუა, რომლის დროსაც დაიღუპა 10 ათასი კაცი, ხოლო ზარალი შეადგენდა ერთ მილიარდ დოლარს, მთელი მსოფლიო დაეხმარა დაზარალებულ სახელმწიფოს, მაგრამ დიქტატორმა სომოსამ მთლიანად მითვისა ეს თანხა.

ნიკარაგუა სუს

ამიერკავკასიის
რესპუბლიკების
ხელოვნების
ფესტივალის
კონცერტებზე

მუსიკის ზეიმი



ხელოვნების ფესტივალი „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები“ დასასრულს უახლოვდება. თითქმის ერთი კვირაა, რაც თბილისის საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში სომხური, აზერბაიჯანული და ქართული მელოდიები და რიტმები ჟღერს, ხოლო მუსიკალური თეატრების სცენებზე კი მოძმე რესპუბლიკების სახელოვან მსახიობებსა და შემსრულებლებს ვხვდებით. მიმდინარე ფესტივალი მდიდარია თავისი შინაარსობრივი მხარით, ჟანრული მრავალფეროვნებით. მუსიკის თითქმის ყველა სფეროა წარმოდგენილი ხელოვნების ამ დიდ ზეიმზე — ოპერა და ბალეტი, სიმფონია და ორატორია, კამერული ანრი და მუსიკალური კომედია, სიმღერა და ჯაზი.

ფესტივალის დღეებში დიდი წარმატება ხვდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის დადგმებს, ო. თაქთაქიშვილის „ორ განაჩენსა“ და „მუსუსს“ (დადგმული რეჟისორი — გ. მელიავა, დირიჟორი — ა. მამაცაშვილი), რომელშიც თეატრის წამყვან მსახიობებთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდობაც ვიხილეთ. დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა აგრეთვე უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტამ „არშინ მალ ალან“, ნაწარმოებმა, რომელიც თბილისში არაერთხელ დადგმულა და დიდად პოპულარულია. ფესტივალის დღეებში ჩვენ შეეხვედით ახალგაზრდა მუსიკოსებს, რომლებიც დღევე უცნობი იყვნენ თბილისელ მსმენელებისათვის. მათ შორის განსდაო ბაქოელი ა. ბაბაევა, რომელმაც თავისი კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართა. მან საკმაოდ მაღალი პროფესიული დონით ორგანზე შესასრულა კლასიკური მუსიკის რეპერტუარი და ამასთან ერთად აზერბაიჯანული საორგანო მუსიკის ნიმუშებიც გაგვაცნო.

საინტერესო და ვრცელი პროგრამით წარდგა მსმენელთა წინაშე საქართველოს სახელმწიფო კაპელა გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით. მის მიერ შესრულებული საგუნდო მუსიკის არაერთი თვალსაჩინო ნიმუში მაღალი სასიმღერო კულტურით გამოირჩეოდა. სასიამოვნოა, რომ ხელოვნების ფესტივალმა არც ნორჩი თაობა დატოვა უყურადღებოდ და სამუალება მისცა ჩვენს ბავშვებს ფართო საზოგადოებისათვის გაეცნოთ თავიანთი ხელოვნება. ამ მხრივ ყოველად მიესალმებელი იყო ბაქოს, ერევნისა და თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლების ერთობლივი კამერული ბალეტი. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე. ნორჩ მოცეკვავეებს არც მომავალი მუსიკოსები ჩამორჩნენ და წარმატებით გამართეს თავიანთი კონცერტი. კონსერვატორიის მცირე დარბაზში. სამი რესპუბლიკის დედაქალაქების ცენტრალური მუსიკალური სკოლების მოსწავლეებმა ტ. ბაბაევამ, ს. ამუმოვამ, გ. ტერ-სარკისიანმა, ს. ბაბაიანმა, ქ. ჩიკაშუამ, ბ. ღვინერიამ და სხვებმა დიდი ხალისითა და გულწრფელობით შეასრულეს ზ. ფალიაშვილის, ყარა-ყარაევის, ა. ხაჩატურიანისა და სხვა ამერიკავკასიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

მაღალი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით გამოირჩეოდა ჯაზური მუსიკის საღამო, რომელშიც აზერბაიჯანელ პიანისტსა და კომპოზიტორთან ფარიდ მუსტაფა-ზადეესთან ერთად ქართველი მუსიკოსები თ. ალურაშვილი და დ. ჯაფარიძე მონაწილეობდნენ. საესტრადო მუსიკის მოყვარულნი კი ოფიცერთა სახლის საკონცერტო დარბაზში შეხვდნენ სომეხ მომღერალს გ. მინასიანს.

ფესტივალის პროგრამაშია აგრეთვე „ორერა“ კონცერტებიც, რომლის გამოსვლებმა მეტეხის პლატოზე კვლავ დიდი სიამოვნება მოუტანა ფესტივალის სტუმრებსა და მასპინძლებს.

ფესტივალის რამდენიმე კონცერტში დიდი წარმატებით ზამოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სომხეთის საგუნდო კაპელა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ჯ. კახიძის დირიჟორობით.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ინტერესით მოუსმინეს ამერიკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსების ლაურეატებს ჰუარამან ალიმოვას (აზერბაიჯანი) და სუსანა მარტიროსიანს (სომხეთი).

ფესტივალი „საბჭოთა ამერიკავკასიის მელოდიები“ გრაფლდება.

ს. ციინცაძე,
მუსიკათმცოდნე.

• • •

სურათებზე: მღერიან ჰ. ალიმოვა (მარცხნივ) და ს. მარტიროსიანი (მარჯვნივ); გამოდიან ხალხური ორკესტრი და სომეხთა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სომხეთის საგუნდო ხაზოგადოების კაპელა;

ბ. ბინზბურგისა და ა. კაპლანის ფოტო.



მატჩი მსოფლიო კერძოელობაზე

პარტია გადაიდო

ბაგიო. გუშინ გაიმართა ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის შორის მსოფლიო პირველობის მატჩის ოცდაათე პარტია, რომელიც 42-ე სვლაზე გადაიდო.

გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს:

კარპოვი — კორჩნოი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 ∆f6 2. ∆c3 d5 3. cd ∆:d5 4. g3 g6 5. ¿g2 ∆:c3 6.bc ¿g7 7. ∆f3 0-0 8. 0-0 c5 9. ¤b1 ∆c6 10. ¤a4 ∆a5 11. d3 b6 12. ¤h4 ¿b7 13. ¿h6 ¿:h6 14. ¤:h6 ¿:f3 15. ¿:f3 ¤c8 16. ¿g2 ¤d7 17. ¤bc1 b5 18. ¤b1 ¤b8 19. ¤e3 ¤d6 20. ¤fd1 a6 21. ¤d2 ¤fc8 22. ¤db2 ∆c6 23. ¤d2 ∆e5 24. ¤f4 ∆d7 25. ¤:d6 ed 26. ¿h3 ∆d8 27. a4 ba 28. ¿:d7 ¤:b2 29. ¤:b2 ¤:d7 30. ¤a2 ∆g5 31. ¤:a4 ¤a7 32. ∆g1 ∆ge7 33. ∆ge1 ∆gd7 34. ∆gd2 h5 35. ∆gc2 ¤a8 36. ¤f4 ∆ge6 37. h4 ¤b8 38. ¤e4+ ∆gd7 39. ¤a4 ¤a8 40. ¤f4 ∆ge6 41. ¤c4 ¤a7.

პარტია გადაიდო.

ოცდამეათე პარტიაში კარპოვმა თეორიებით ინგლისური დასაწყისი აირჩია. პრეტენდენტმა გამოიყენა გრიუნფელდი დაცვის მსგავსი სისტემა. ბრძოლა მაღვრეულ, პოზიციურ ხასიათს ატარებდა. წარმოიქმნა დაბოლოება, რომელშიც ორივე მხარეს თითო ეტლი და ექვს-ექვსი პაიკი დარჩა. მსოფლიოს ჩემპიონმა ნიშნერა 42-ე სვლა.

ამ შეხვედრის დამთავრება დღისასვლეთ აირის დანიშნული. ანგარიშია 5:4 კარპოვის სასარგებლოდ.

□

ქალთა საკავშირო ნიკოლაევში

ქალაქ ნიკოლაევში გრძელდება სსრ კავშირის 38-ე ჩემპიონატი მოქადაგაკი ქალთა შორის. გათამაშდა მეექვსე ტურის პარტიები. ლეონტიევამ დამარცხა ფიტალებეკოვა და 4,5 ქულით აპარაზობას ლიდერობს. ბურიევმა მოუგო ფერეთელს. მინოგინა-ლისენკოს და ვორონოვა-ტიტორენკოს პარტიები ყაინით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გათამაშების ლიდერს — ლეონტიევა ქალში მიპყვებიან ფატალებეკოვა — 4 ქულა (1 გადადებული), ხუგაშვილი და ვორონოვა 3,5-3,5 ქულა (თითო გადადებული).

კალათბურთი

დაუმარცხებლად მხოლოდ ორნი

გადამწყვეტ ფაზაში შეედა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც მანილაში (ფილიპინები) მიმდინარეობს. მსოფლიოს ექსჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა დაამარცხეს ფილიპინელები ანგარიშით. 119:72, ხოლო ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს კანადელებთან — 96:90.

მომდევნო დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ჩემპიონების — იუგოსლავიისა და მსოფლიო ჩემპიონების — საბჭოთა სპორტსმენების შეხვედრამ. იუგოსლავებმა უკეთ ითამაშეს და ერთობ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს — 105:92. ამ დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ-ბრაზილია — 90:92, კანადა-აესტრალია — 91:79, იტალია-ფილიპინები — 112:75.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში დაუმარცხებლად მხოლოდ ორი ნაკრები იბრძვის — იუგოსლავიისა და ბრაზილიისა. ორივემ 5-5 მატჩი გამართა და ორივემ ყველა შეხვედრა მოიგო. დღეს ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან.

„დინამო“ — „ბრესტი“

12 და 14 ოქტომბერს თბილისში ერთობ საინტერესო მატჩები მოეწყობა. თბილისის დინამოელი ქალათბურთელები უმაპინძლებენ ლუბლიანის „ბრესტს“. ალსანიშნავია, რომ ამ გუნდმა იუგოსლავიის უკანასკნელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა.

სპორტი

ფეხბურთი

ლიდერთან გაიმარჯვა

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა ასპარეზობის 39-ე ტურის შეხვედრები. საქართველოს გუნდების მონაწილეობით ამ ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ბათუმი)-„ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — 2:0, „გურია“ (ლანჩხუთი)-„ზვეზდა“ (პერმი)— 2:1, „დინამო“ (სოხუმი)-„ზენიტი“ (იეკეესკი) — 0:0, „დინამო“ (ხუდადოვი)-„რუბინი“ (ყაზანი)— 0,2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„დინამო“ (ცროზვი) — 3:3, „დილა“ (გორი)-„დრუჟბა“ (ოზერკარ-ოლა) — 3:0.

გათამაშებას კვლავ ლიდერობს ჟერმის „ზვეზდა“ (ნაშ ქალა), ლანჩხუთის „გურიამ“ ლიდერთან გამარჯვებით ხატურნირო ცხრილში მდგომარეობა განმტკიცა და კვლავ მეორე ადგილზეა (48 ქულა).

„კოლხეთი“, „მეშახტე“, „მეცხალერგი“...

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის 39-ე ტურის მატჩები. გათამაშებას ლიდერობს ფოთის „კოლხეთი“ (36 თამაშიდან 54 ქულა). მეორე ადგილზეა ტყიბულის „მეშახტე“ (34-დან 51 ქულა), მესამეზე — რუსთავის „მეტალურგი“ (34 თამაშიდან 50 ქულა).

პრესკონფერენციაზე ბიჭვინთაში

პასი შეკითხვა ჩემპიონს

მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის დამთავრებასთან დაკავშირებით ბიჭვინთის საკურორტო დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც საბჭოთა და საზღვარგარეთელი პრესის მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შეეკითხებით მიმართეს მსოფლიოს ახალ ჩემპიონს — მაია ჩიბურდანიძეს.

საკვლევი კორესპონდენტი: — რომელი პარტია იყო თქვენთვის ყველაზე უფრო ძნელი ამ მატჩში?

— უკანასკნელი, რომელშიც ნონა გაფრინდაშვილს უპირატესობა ჰქონდა. მე რამდენიმე საათს მიხდებოდა თეორიის მოგვრიება.

გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ (სოხუმი): — რომელი პარტია მიგაჩნიათ საუკეთესოდ ამ მატჩში?

— საუკეთესო, უდავოდ, მეთოხე პარტია იყო.

საკვლევი კორესპონდენტი: — როდის დარწმუნდით საბოლოოდ გამარჯვებაში?

— მას შემდეგ, რაც ჩემმა პატივცემულმა პარტნიორმა, ქალბატონმა ნონამ მეთხუთმეტე პარტიაში ყაინი შემომთავაზა.

გაზეთი „კომუნისტი“: — წარსულის რომელი მსოფლიო ჩემპიონის შემოქმედება გიზიდავთ?

— ხოსე რაულ კაპაბლანკას შემოქმედება. მე სპეციალურად ვაპირებ მისი პარტიების შესწავლას.

საკვლევი კორესპონდენტი: — სულ რამდენი პარტია გაქვთ ნათამაშევი თქვენს ცხოვრებაში?

— უკვე საკმაოდ ბევრი, დაახლოებით 500 სატურნირო და სალატრო პარტია.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ (ბათუმი): — როდესაც ანგარიში 8:6 გახდა თქვენს სასარგებლოდ, თქვენ ტაიმ-აუტი აიღეთ: რითი იყო ეს გამოწვეული?

— უკეთ მინდოდა მოვამზადებულიყავი მეთხუთმეტე პარტიისათვის, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა.

გაზეთი „კომუნისტი“: — აპირებთ თუ არა ვიყოთ საერთაშორისო ტურნირებში თამაშს?

— აუცილებლად. მე აქამდე ვიყავი მხოლოდ ერთ საერთაშორისო ტურნირში მაქეს მონაწილეობა მიღებული. ეს იყო ჩემი გენერალური რეპეტიცია მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ. ახლა ხშირად ვითამაშებ.

საკვლევი კორესპონდენტი: — ახლა რაზე ოცნებობთ?

— რაც შეიძლება დიდხანს შეეინარჩუნო მსოფლიო ჩემპიონობა და გამოვიდე კარგი ექიმი.

გაზეთი „კომუნისტი“: — ვინ იქნება საბჭოთა ნაკრების მთავარი მეტოქე ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც 25 ოქტომბერს იწყება ბუენოს-აირესში?

— უნგრეთის ნაკრები, რომელსაც ვერეცი უხელმძღვანელებს, რუმინეთის თანაბარი გუნდი და ტრადიციული მეტოქე — იუგოსლავიის ნაკრები, რომლის ლიდერი იქნება ცნობილი დიდოსტატი ლუბარევიჩი.

ჟურნალი „ოგონიოკი“ (მოსკოვი): — თქვენ ამ ციკლში ოთხი მატჩი ითამაშეთ: სამი პრეტენდენტებთან, ერთი კი მსოფლიოს ჩემპიონთან. რომელი იყო ყველაზე უფრო ძნელი?

— ყველა მეტად ძნელი იყო.

გაზეთი „ხაბეროთა ოეხაზეთი“: — რა გაინტერესებთ, ჭადრაკის გარეშე?

— უპირველეს ყოვლისა, ძველი ქართული ენა. დიდად მიტაცებს მხატვრული ლიტერატურა. ძველ მოგახსენებთ, რომ ჩემი საყვარელი პოეტები არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, რუსებიდან ალექსანდრე პუშკინი. ახლა გიწყებ მედიცინის შესწავლას.

ჟურნალი „ტურისტი“ (მოსკოვი): — რატომ ირჩიეთ მედიკოსის პროფესია?

— ბიბლიომ, რომ ეს, ჩემი აზრით, ყველაზე ჰუმანური და კეთილშობილი პროფესიაა.

გაზეთი „ტრუდი“ (მოსკოვი): — როგორ ფიქრობთ, რამდენი უნდა ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონმა?

— თუ პარტიების რიცხვზეა საქმე, კონკრეტულად ვერ მოგახსენებთ. ისე კი ძალიან ბევრი უნდა ითამაშოს. ეს მისი მოვალეობაა ჭადრაკის სამყაროს წინაშე.

ჟურნალი „ტურისტი“: — როგორ ისვენებთ ხოლმე, რა როლს აკუთვნებთ ფიზიკურ მომზადებას?

— ფიზიკურ მომზადებას, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ცოტა დროს ვუთმობ. ეს ცხაია, სწორი არ არის. მომავალში უკეთ უნდა მოვემზადო, რათა მატჩებისა თუ ტურნირების მცელლობის დროს არ დავიღალო.

გაზეთი „ტრუდი“: — რომელი მოქადაკეების პარტიები მოგწონთ?

— მე ყველაზე მეტად მომწონს მსოფლიო ჩემპიონ კარპოვისა და ფიშერის პარტიები.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა“: — ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში ნიჭიერი მოჭადრაკე ქალიშვილების დიდი ჯგუფი დაწინაურდა. ვინ მიგაჩნიათ მათ შორის ყველაზე უფრო პერსპექტიულად?

— ნანა იოსელიანი და ნინო გურევიჩი.

გაზეთი „ტრუდი“ — საღ ითამაშებთ არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ?

— ეს ჯერ არ გადამწყვეტია.

გაზეთი „დი ფრაიე ველტი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა): — გვითხარით, სად უნდა ვეძიოთ ქართველი მოჭადრაკე ქალების ამ მუდმივ, დიდ წარმატებათა საიდუმლოების მიზეზი?

— ქართველ ქალებს ოდითგანვე აქვთ მრავალი ღირსება, რომელიც ზედგამოჭრილია ნამდვილი მოჭადრაკისათვის. დიდ როლს ასრულებს ქართული ისტორიული ტრადიციაც, რომელიც იწონებს ქართველი ქალს ჭადრაკით გატაცებას. მარტო ქალისათვის მზითევში ჭადრაკის გატანება რად ღირს! მეტად დიდი როლი შეასრულა ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს პირადმა მაგალითმაც. ჭადრაკით მრავალი გოგონა დაინტერესდა და, ბოლოს და ბოლოს, ამან ნაყოფიც გამოიღო.

გაზეთი „დი ფრაიე ველტი“: — როდის გათხოვდებით?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

გაზეთი „ხოვეტსკაია კულტურა“ (მოსკოვი): — რამდენ წელს გრძელდება თქვენი საჭადრაკო მოღვაწეობა?

— 9 წლისა ვიყავი, როდესაც ძმამ თამაში მასწავლა. ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დავიწყე მეცადინეობა. აი აქედან დაიწყო ჩემი ახლო ურთიერთობა ჭადრაკთან, რომელიც ჩემთვის ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს.

დასასრულ მსოფლიო ჩემპიონმა მაღლობა გადუხადა ჟურნალისტებს მათ მიერ გაწეული ძნელი და საპატიო მუშაობისათვის.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ნიჭიერ ახალგაზრდობას

კონკურსი ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია — 2.500 მანეთი დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 ივნისის № 472 დადგენილებით და მიენიჭება 3 ჯელოწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითს, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში გეგმით ან გეგმის გარეშე, ამ ცალკეულ პირთა მიერ; საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა ნაშრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დადგენენ წარმოდგენი ორგანიზაცია და საექსპერტო კომისია. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ გამოცემული ათა უგვიანეს ექვსი თვისა ბანცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭა ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები, ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება. ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

ორმა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საათანადო დარგის წამყვან მეცნიერთა ან სპეციალისტთა მიერ.

ამ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, უნდა წარმოადგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შემდეგი მასალა:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მხიმენელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;

2. საკონკურსო გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად;

3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს **მისამართით:**

380093, თბილისი, 93, ზ. რუხაძის ქ. № 1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, წარწერით „ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

პრემიის მინიჭება მოხდება 1979 წლის აპრილში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ფოთის საგზაო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1978-1979 სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ კადრებს შორსმცურავ გემებზე სამუშაოდ შემდეგი სპეციალობებით:

პირველი კლასის მატროსი, გემის პირველი კლასის მემანქანე, გემის ელექტრიკოსი, რეფრეფერატორული დანადგარების I კლასის მემანქანე.

სკოლაში მიიღებიან 8 კლასისა და საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის მამაკაცები, დემობილიზებულნი საბჭოთა არმიის რიგებიდან და „ანმრთელნი ოკეანეში სამუშაოდ.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები იყოფიფებიან სახელმწიფო ხარჯზე, ეძლევათ კვება, საცხოვრებელი ბინა, ტახსაცმელი, სტიპენდია 19 მანეთი.

სწავლების ხანგრძლივობა 1 წელია.

განცხადებები მიიღება 1978 წლის 15 ოქტომბრამდე.

სკოლაში მიღება წარმოებს მისადები გამოცდების ჩაუბარებლად.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, ატესტატი ან ცნობა განათლების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (3 ცალად), სამედიცინო ცნობა (ფორმა 286), 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4), დახასიათება სამუშაო ადგილიდან, შრომის წიგნაკი, თან უნდა იქონიონ პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ფოთი, **კოლონტაის ქუჩა № 2. მეზღვაურთა სკოლა,** თბილისი, **ლუნაჩარსკის ქუჩა № 8,** კადრების განაწილება, გაერთიანება „საქმეზღვაო“.

გინდა სამოგზაუროდ

ТУРИСТ

ცხინვალის სავაჭრო ბიურო 12 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე აწყობს ტურისტული მატარებლით მოგზაურობას მარშრუტით: ცხინვალი-ბინსკ-ბრესტ-ვილნიუსი-რიგა-ქალინინგრადი-ფსკოვი-ლენინგრადი-ვიბორგ-მოსკოვი-ცხინვალი.

საგზური 140 მანეთი ღირს. ღირებულებაში შედის მოგზაურობა რბილი ვაგონით, საძინებელი კუპე ვაგონ-რესტორანში და საექსკურსიო ხარჯები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ცხინვალის საექსკურსიო ბიუროს მისამართით: 383570, ქ. ცხინვალი, ტურბაზა „ოსეთი“, ტელ. 2-41-21, 2-52-59.

ტელევიზია

11 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი „შემოქმედი ადამიანი“, 17.00—უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — „სპარტაკიადის შემდეგ“, 18.45 — „ვმართოთ ხარისხი“, 19.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალექსი მაჭავარიანი“ (ფერადი), 20.15 — „კომკავშირი — 60 წელი“. „ახალგაზრდობა — იმედი ხვალის“ (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ვერნისაჟი“. აჭარის მხატვრები (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ბუდაპეშტიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა (ფერადი), 18.50 — განცხადებები, 18.55 — დოკუმენტური ფილმი „ლენინგრადი. წლები და მოვლენები“ (ფერადი), 19.50 — კონცერტი, 20.30 — მხატვრული ფილმი „ზოგჯერ რისკი სჯობს“ (ფერადი).

თეატრი

11 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; მცირე დარბაზი — სიყვარული თელბაკვეშ.

ქიმია

აგასთუმნის ვარსკვლავები

აგასარა-იმერეთის ქედის სამხრეთის ტყიან ფერდობებზეა განლაგებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აგასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია — ერთ-ერთი უდიდესი ჩვენს ქვეყანაში. ზღვის დონიდან 1700 მეტრი სიმაღლიდან ობსერვატორიის მეცნიერთა კოლექტივი გეგმაზომიერად აკვირდება ვარსკვლავებს, მზეს, პლანეტებს, მოვარეს, ეწევა კვლევებს თანამედროვე ასტროფიზიკის, ვარსკვლავთა ასტრონომიის, მზისა და პლანეტების ფიზიკის მთელ რიგ დარგებში.

როგორც კი დაბინდდება, იხსნება ობსერვატორიის გუმბათების დარაბები და სალამის ზეციისკენ მიმართავენ ძლევარი ტელესკოპების ობიექტივებს. ყანობილის მთაზე უაღრესად გამჭვირვალე და მშვიდი ჰაერი უზრუნველყოფს ვარსკვლავების ოპტიკურ და ამოსახულებათა კარგ ხარისხს.





სურათებზე: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ვაჟა კულიჯანიშვილი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ბოლქვაძე აკვირდებიან მზეს ახალი დუბნელებელი კორონოგრაფის საშუალებით; ობსერვატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლორანდ სიგუა.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ 02246

ბეჭ. პ. ცაცის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14

КОМУНИСТ — ყველა მისაბაძია და ტალეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებთან—99-23-03, 99-83-09, პ/მდივანს — 99-72-88, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-53-46, სპორტი — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-55-01, ინფორმაციის — 93-18-90, უცხოეთის — 99-80-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.